

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N18

ქ. ლანჩხუთი

5 სექტემბერი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ღლონტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთ. სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სოსო ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლანჩუთი-გზას“ შემდგომი ფუნქციონირების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

2. სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ნ. ლლონტი/

3. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში დაგზავნის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

4. ლანჩუთის მუნიციპალიტეტში 2012 წელს ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში დაგზავნის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

5. სხვადასხვა.

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

თავდაპირველად ბიურომ იმსჯელა ორგანიზაციულ საკითხებზე და მიიღო გადაწყვეტილება:

- საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვროს მ/წ 14 სექტემბერი.
- მ/წ 16 სექტემბერს მოწვეულ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლანჩუთი-გზას“ შემდგომი ფუნქციონირების შესახებ“ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ. მან აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ მომზადებული ინჟა საკითხი შ.პ.ს. „გზის“ შემდგომი ფუნქციონირების შესახებ, განსახილველია ორი მიდგომა – შ.პ.ს. „გზის“ ლიკვიდაცია ან 100%-იანი წილის გასხვისება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისია (მ.წილოსანი).
- 2) განკარგულების პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ინფრასტრუქტურის; საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა; სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიებს; ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგი მეორე საკითხთან დაკავშირებით სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ, ინფორმაცია გააკეთა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ნუგზარ ღლონტმა. მან აღნიშნა, რომ 2011 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულია 89 პროექტი. დაწყებულია პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები. მაგრამ არის რამდენიმე პროექტი, რომელთა განხორციელებაშიც შეფერხებებია. კერძოდ, არ დაწყებულა ჭანჭათში სასმელი წყლის გაყვანილობისა და სოფ.მამათში გაბიონის რეაბილიტაციის სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნულ ობიექტებზე საამშენებლო მასალების შემოზიდვა.

სოფ. ქვიანის ცენტრის კეთილმოწყობის პროექტი დღეისათვის არ არის მზად, რადგან ეკონომიკის სამინისტროში გასარკვევია მიწის ნაკვეთის და ქონების კუთვნილების საკითხი. მართალია, მზადაა ნიგვზიანის ტერიტორიული ერთეულში შემავალი სოფ.ხაჯაღლის სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი გასაფორმებლად.

სოფ. ხიდმადალაში სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე მომუშავე ი/მ „თენგიზ მჟავანაძე“ პროექტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების გამო დაჯარიმებულ იქნა.

დღესათვის 89 პროექტიდან დასრულებულია 51 პროექტი.

ნუგზარ ლლონტმა ბოლოს მიმოიხილა და ინფორმაცია გააკეთა ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებზე.

ასევე საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა სოსო ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სულ დღესათვის შესრულებულია პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების 72%. (მონაცემები 2011 წლის სოფლის პროგრამების მიმდინარეობის შესახებ თან ერთვის).

ბიუროს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული გამგებლის მოდგილე ნუგზარ ლლონტის ინფორმაცია.

დღის წესრიგის მესამე საკითხი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ, სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეჯერებული პარამეტრების გათვალისწინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

აღნიშნული წესის დაცვით შედგენილი ბიუჯეტის პროექტი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების(რეგლამენტის) 85-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილ იქნა საკრებულოში მისი შემდგომი განხილვის მიზნით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია (პ.ფირცხალაიშვილი)

2) პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ყველა კომისიას (საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია; სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისია; ინფრასტრუქტურის კომისია; სოციალურ საკითხთა კომისია; ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია) და ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2012 წელს ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტები, სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ 2012 წელს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა გარკვეული პროექტები. მათ შორის ქ. ლანჩხუთში ქუჩების, ადგილობრივი გზების, საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია და მათი ეზოების კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტში შემავალი რიგ სოფლებში ხიდების, გარე განათების, ბაგა-ბაღების, წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, სამხატვრო და სპორტული სკოლის შენობების რემონტი, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა. სულ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით განსაზღვრულ პრიორიტეტულ პროექტებზე 2012 წლის პროექტით გათვალისწინებულია 9 775 500 ლარის გამოყოფა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2012 წელს ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით განსახორციელებელი პრიორიტეტულ პროექტებზე საკითხის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კომისია (მ.წილოსანი).

2) პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ყველა კომისიას (ინფრასტრუქტურის კომისია; სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია; სოციალურ საკითხთა კომისია; ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია). ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ ბიურომ ორგანიზაციულ საკითხებზე მიიღო გადაწყვეტილება:

– დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს (დონარა დოლიძე) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის, დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

– საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა უზრუნველყოს პროექტების განხილვა და დღის წესრიგის პირველ საკითხზე დასკვნების წარმოდგენა 2011 წლის 14 სექტემბრამდე.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტბე

საკრებულოს აპარატის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი:

დონარა დოლიძე

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

მაია კველიძე